

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 12 (431)

1976 წლის დეკემბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოსემა

თბილისი

კ. მარქსის ს. ს. კ. სსრ
საბეგობრელო სწავლა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის



უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 12 (431)

დეკემბერი

1976 წელი

ზ ი ნ ა რ ს ი

განყოფილება პირველი

- 214. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მშენებელთა № 54, დუშეთის რაიონის ბაზალეთის № 159 და ზესტაფონის რაიონის ძირულის № 211 საარჩევნო ოლქებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების დღის შესახებ;
- 215. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მშენებელთა № 54, დუშეთის რაიონის ბაზალეთის № 159 და ზესტაფონის რაიონის ძირულის № 211 საარჩევნო ოლქების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.
- 216. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის, რეგისტრაციის, გამოყენებისა და შენახვის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.
- 217. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე (დებულება თან ერთვის)
- 218. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ.
- 219. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის დადგენილების შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ინფორმაციების შესახებ.

- 220. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წალენჯიხის რაიონის რაიონების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებისათვის წინასაარჩევნო კრებებზე დაყენებული განაწესების შესრულების მდგომარეობის შესახებ.
- 221. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გარდაბნის, ჩოხატაურისა და წულუკიძის რაიონებში დიდი სამამულო ომის ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის შესახებ კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობის თაობაზე.

ბანჟოფილება გეორა

- 222. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწლებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
- 223. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ზ. გ. ლეშაშვილისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 224. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ს. დ. შამფრანისათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 225. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ლ. ვ. თვაურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 226. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიური ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 227. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. ი. გ. შუბითიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 228. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აშხ. შ. ე. ცხოვრებაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 229. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჟურნალ „პიონერის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 230. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჟურნალ „პიონერის“ და სტამბის თანამშრომელთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 231. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ზელშემწეობი ნებაყოფლობითი საზოგადოების (დოსაფი) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.



ქართული
ენების
სამეცნიერო
ცენტრი

232. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მხარეთმცოდნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შვილის სახელობის პირველი საშუალო სკოლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
233. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და ა. შ. ბანდუ-რიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილ-დოების შესახებ.
234. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და ა. შ. ერისთა-ვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
235. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და ა. შ. ვ. მარკუ-შინის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილ-დოების შესახებ.
236. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და ა. შ. დ. მ. მეფა-რიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
237. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და კინორეჟისორ რ. დ. ჩხეიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
238. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და პროფესორ ი. ს. ჯა-ფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილ-დოების შესახებ.

ბანყოფილება მისამი

საინფორმაციო ცნობები

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა



1976 წლის ანბანურ-საგნობრივი საძიებელი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

214 ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მუხანაბელთა № 54, დუშეთის რაიონის ბაზალეთის № 159 და ზესტაფონის რაიონის ძირულის № 211 საარჩევნო ოლქებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების დღის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 99-ე მუხლის შესაბამისად ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მუხანაბელთა № 54, დუშეთის რაიონის ბაზალეთის № 159 და ზესტაფონის რაიონის ძირულის № 211 საარჩევნო ოლქებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები დაინიშნოს კვირას, 1977 წლის 16 იანვარს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 15 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

215 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მუხანაბელთა № 54, დუშეთის რაიონის ბაზალეთის № 159 და ზესტაფონის რაიონის ძირულის № 211 საარჩევნო ოლქების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 39-ე, 40-ე და 41 მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მუხანაბელთა № 54, დუშეთის რაიონის ბაზალეთის № 159 და ზესტაფონის რაიონის ძირულის № 211 საარჩევნო ოლქების საოლქო საარჩევნო კომისიები საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა საზოგადოებების და კოლექტივების შემდეგი წამომადგენლების შემადგენლობით:

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მუხანაბელთა № 54 საარჩევნო ოლქი

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:

ვალერიან აკაკის ძე შვანია — თბილისის 128-ე საშუალო სკოლის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

გალინა ალექსანდრეს ასული ივანოვა — თბილისის 128-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან.



საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი:
თამარ არმენაკის ასული **მაჰმანოვა** — განათლების, უმაღლესი სკოლის მეთვლიყვეთი
სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის თბილისის 128-ე სა-
შუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

შოთა მანუელის ძე **დევდარიანი** — წითელი ჯვრის საზოგადოების თბილი-
სის № 2 ტაქსომოტორების ავტოსატრანსპორტო საწარმოს პირველადი ორგა-
ნიზაციისაგან;

შოთა გაბრიელის ძე **რომელაშვილი** — თბილისის № 2 ტაქსომოტორების
ავტოსატრანსპორტო საწარმოს პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;
ლიდა ანდროს ასული **გელაშვილი** — „ბუნების მეგობრის“ საზოგადოების
თბილისის 128-ე საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ციხმარა იასონის ასული **მარანელი** — საქართველოს ახალგაზრდათა ლენი-
ნური კომუნისტური კავშირის თბილისის № 2 ტაქსომოტორების ავტოსატრან-
სპორტო საწარმოს პირველადი ორგანიზაციისაგან;

რობერტ ვაგანის ძე **შახოიანი** — „ბუნების მეგობრის“ საზოგადოების
თბილისის № 2 ტაქსომოტორების ავტოსატრანსპორტო საწარმოს პირველადი
ორგანიზაციისაგან;

გივი ამირანის ძე **ინანიშვილი** — წითელი ჯვრის საზოგადოების თბილისის
№ 2 ტაქსომოტორების ავტოსატრანსპორტო საწარმოს პირველადი ორგანი-
ზაციისაგან.

დუშეთის რაიონის ბაზალეთის № 159 საარჩევნო ოლქი

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:

ელუარდ ამბროსის ძე **ბულუღაშვილი** — სოფელ ბაზალეთის კოლმეურნე-
ობის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

ვახტანგ ნიკოლოზის ძე **ხერკელაძე** — მჭადიჯვრის მშრომელთა დებუტა-
ტების სასოფლო საბჭოს აღმასკომის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი:

ციცილი შალვას ასული **მდორეული** — სოფლის მეურნეობისა და დამზა-
დების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის სოფელ ბაზალეთის კოლ-
მეურნეობის პირველადი ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ავთანდილ მიხეილის ძე **მიქელიშვილი** — გრემისხევის მშრომელთა დებუ-
ტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

მანანა ვასილის ასული **სალიაშვილი** — მჭადიჯვრის მეხილეობა-მევენახე-
ობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

გიული ალექსის ასული **ახალაშვილი** — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის მჭადიჯვრის საშუალო სკოლის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ნანა გაბრიელის ასული **ფეიქრიშვილი** — მჭადიჯვრის მეხილეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

ტარიელ გიორგის ძე **ფსუტური** — მჭადიჯვრის მეხილეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

ოთარ ივანეს ძე **ხისფეხიშვილი** — სოფელ ბაზალეთის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

ზესტაფონის რაიონის ძირულის № 211 საარჩევნო ოლქი

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:

პაატა მელიტონის ძე **შველიძე** — სოფელ ძირულის საშუალო სკოლის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

თინა ოქროპირის ასული **გუმბერიძე** — სოფელ ფუთის რვაწლიანი სკოლის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი:

ნინო სერაფიონის ასული **გელაშვილი** — სოფელ ძირულის კოლმეურნეობის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ქეთევან ვასილის ასული **წითელაშვილი** — სოფელ ილემის კოლმეურნეობის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

ოლია ბიქტორის ასული **რიჟამაძე** — სოფელ წითლავაკის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

მაყვალა ალექსანდრეს ასული **პარკინაშვილი** — შრომის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

ვალერიან ესტატეს ძე **ბანცაძე** — სოფელ ძირულის კოლმეურნეობის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

ომარ გენადის ძე **შველიძე** — შრომის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

პავლე ლავრენტის ძე **ექსეულიძე** — ძირულის ცეცხლგამძლე ნაწარმის ქარხანა „შრომის“ მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. ბილაშვილი**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი**.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და ცენტრალური იარაღის შექმნის, რეგისტრაციის, განიშნა-
216 ზისა და შენახვის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის
 შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. სანადირო გლუვგულუიანი თოფის ყიდვა იმ მოქალაქის მიერ, რომელსაც არა აქვს შინაგან საქმეთა ორგანოების ნებართვა და მონადირის ბილეთი, მოქალაქის მიერ გლუვგულუიანი სანადირო თოფის შენახვა ან გადაცემა შინაგან საქმეთა ორგანოების ნებართვის გარეშე, მოქალაქის მიერ ასეთი თოფის მიყიდვა იმ პირისათვის, რომელსაც არა აქვს შინაგან საქმეთა ორგანოების ნებართვა, ასეთი თოფების შენახვის წესების დარღვევა, აგრეთვე მათი რეგისტრაციისა ან ხელახალი რეგისტრაციისათვის თავის არიდება —

გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას — ჯარიმას 20 მანეთამდე, იარაღის ჩამორთმევით.

2. ცენტრალური კუთხვილი იარაღის რეგისტრაციისა ან ხელახალი რეგისტრაციისათვის თავის არიდება, ამ იარაღის გადაცემა სხვა პირისათვის შინაგან საქმეთა ორგანოების ნებართვის გარეშე, აგრეთვე ასეთი იარაღის შენახვის წესების დარღვევა —

გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას — ჯარიმას 30 მანეთამდე, იარაღის ჩამორთმევით.

3. ცენტრალური იარაღის მიყიდვა იმ მოქალაქისათვის, რომელსაც არა აქვს შინაგან საქმეთა ორგანოების ნებართვა და მონადირის ბილეთი, ან იმ საწარმოს, ორგანიზაციისა თუ დაწესებულებისათვის, რომელსაც არა აქვს შინაგან საქმეთა ორგანოების ნებართვა, საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების მიერ სანადირო გლუვგულუიანი თოფის ყიდვა ან შენახვა შინაგან საქმეთა ორგანოების ნებართვის გარეშე, ცენტრალური იარაღის შენახვის წესების დარღვევა, მისი გაცემა ან გამოყენება არაპირდაპირი დანიშნულებით —

გამოიწვევს ამაში დამნაშავე საწარმოს, ორგანიზაციისა თუ დაწესებულების მუშაკთა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას — ჯარიმას 30 მანეთამდე.

4. კუთხვილი ან გლუვგულუიანი იარაღიდან სროლა დასახლებულ პუნქტებში და იმ ადგილებში, რომლებიც საამისოდ არაა გამოყოფილი, დადგენილი წესის დარღვევით —

გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას — ჯარიმას 30 მანეთამდე იარაღის ჩამორთმევით.

5. იმ პირთ, რომლებიც სისტემატურად არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს, ეძლევიან სპორტიან სასმელს თუ ნარკოტიკულ ნივთიერებებს ან დაავადებული არიან ფსიქიურად, ჩამოერთმევათ კუთვნილი სანადირო თოფები, სხვა ცენტრალური იარაღი და მათი საბრძოლო მასალა ადმინისტრაციული წესით.



სამართლოეწის მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1966 წ. № 1, მუხ. 3; 1975 წ., № 8, მუხ. 165).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშვარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 15 დეკემბერი.

დამტკიცებულია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის 1976 წლის 15 დეკემ-
ბრის ბრძანებულებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ

მუხლი 1. საბჭოთა სასამართლო მთელი თავისი საქმიანობით მოწოდებულია განახორციელოს მართლმსაჯულება, განამტკიცოს სოციალისტური კანონიერება, აღზარდოს მოქალაქეები სამშობლოსა და კომუნისმის საქმისადმი ერთგულების, საბჭოთა კანონების ზუსტად და განუხრელად შესრულების, სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველი დამოკიდებულების, შრომის დისციპლინის დაცვის, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოვალეობისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, მოქალაქეთა უფლებების, ღირსებებისა და სოციალისტური თანაცხოვრების წესების პატივისცემის სულსკვეთებით. მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლეები დამოუკიდებელნი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

საბჭოთა მოსამართლე უნდა იყოს სამშობლოს პატიოსანი სამსახურის, საბჭოთა კანონმდებლობის მკაცრი დაცვის, ზნეობრივი სიწმინდისა და უმწიკვლო ყოფაქცევის მაგალითი, რათა ჰქონდეს მორალური უფლება გაასამართლოს და აღზარდოს სხვები.

მოსამართლეთა სამსახურებრივი დაუდევრობა და უღირსი საქციელი ლახავს სასამართლოს ავტორიტეტს, ზიანს აყენებს მართლმსაჯულების საქმეს, სახელმწიფო ინტერესებს, მოქალაქეთა უფლებებს და ამიტომ უნდა იწვევდეს მკაცრ პასუხისმგებლობას.

მუხლი 2. საქართველოს სსრ სასამართლოთა მოსამართლეები შეიძლება მიცემულ იქნენ დისციპლინურ პასუხისგებაში:

- ა) სასამართლოს მუშაობაში დაუდევრობით ან უდისციპლინობით დაშვებული დარღვევისათვის;
- ბ) შრომის დისციპლინის დარღვევისათვის;
- გ) საბჭოთა მოსამართლისათვის შეუფერებელი საქციელისათვის.



მუხლი 3. მოსამართლეთა მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომათა შესახებ საქმეების განსახილველად იქმნება დისციპლინურ საქმეთა კოლეგიები სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და თბილისის საქალაქო სასამართლოებთან, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლეს სასამართლოებთან და საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან.

მუხლი 4. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოსთან, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლეს სასამართლოებთან არსებულ დისციპლინურ საქმეთა კოლეგიებს ამ სასამართლოების წევრების, რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეებისა და სახალხო მოსამართლეთა რიცხვიდან ამტკიცებენ მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომი და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები შესაბამისი სასამართლოების თავმჯდომარეების და საოლქო საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილების უფროსის, ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის მინისტრების ერთობლივი წარდგინებით, თავმჯდომარისა და 4-6 წევრის შემადგენლობით, 5 წლის ვადით.

თბილისის საქალაქო სასამართლოსთან არსებულ დისციპლინურ საქმეთა კოლეგიას ამ სასამართლოს წევრების, ქალაქის რაიონების სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეებისა და სახალხო მოსამართლეთა რიცხვიდან ამტკიცებს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის და საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის ერთობლივი წარდგინებით, თავმჯდომარისა და 4-6 წევრის შემადგენლობით, 5 წლის ვადით.

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან არსებულ დისციპლინურ საქმეთა კოლეგიას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრთა, რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეებისა და სახალხო მოსამართლეთა რიცხვიდან ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის და საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის წარდგინებით, თავმჯდომარისა და 4-6 წევრის შემადგენლობით, 5 წლის ვადით.

მუხლი 5. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და თბილისის საქალაქო სასამართლოებთან, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლეს სასამართლოებთან არსებული დისციპლინურ საქმეთა კოლეგიები განიხილავენ საქმეებს სახალხო მოსამართლეების, რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების წევრების დისციპლინურ გადაცდომათა შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან არსებული დისციპლინურ საქმეთა კოლეგია განიხილავს საქმეებს:

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრების დისციპლინურ გადაცდომათა შესახებ;

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს

თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეების დისციპლინურ გადაწყვეტილებების შესახებ;

საქართველოს სსრ იმ რაიონების, ქალაქების სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეებისა და სახალხო მოსამართლეების დისციპლინურ გადაცდომათა შესახებ, რომლებიც ავტონომიური ოლქისა და ავტონომიური რესპუბლიკების შემადგენლობაში არ შედიან.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის და მისი მოადგილეების დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს გადაწყვეტს უშუალოდ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 6. დისციპლინური საქმის აღძვრის უფლება აქვთ:

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს — საქართველოს სსრ სასამართლოების ყველა მოსამართლის მიმართ.

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს — ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს, ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეების, მათი მოადგილეების და წევრების მიმართ, რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეების და სახალხო მოსამართლეების მიმართ;

ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეებს, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს და ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს — ამ სასამართლოთა წევრების მიმართ, რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეებსა და სახალხო მოსამართლეების მიმართ.

ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის მინისტრებს და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილების უფროსს — რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეებისა და სახალხო მოსამართლეების მიმართ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს და ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეებს შეუძლიათ ამ დებულების მე-2 მუხლში აღნიშნული ყველა საფუძვლით აღძრან დისციპლინური საქმე იმ სასამართლოს წევრების მიმართ, რომლებსაც თვითონ უდგანან სათავეში, ხოლო ქვემდგომი სასამართლოების წევრების მიმართ, ასევე რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეების და სახალხო მოსამართლეების მიმართ — იმავე მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით.

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს, ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის მინისტრებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილების უფროსს შეუძლიათ აღძრან დისციპლინური საქმეები ამ დებულების მე-2 მუხლში აღნიშნული ყველა საფუძვლით.

მუხლი 7. მოსამართლეს შეიძლება დაედოს დისციპლინური სასჯელი არაუგვიანეს ერთი თვისა გადაცდომის გამოვლენის დღიდან და არაუგვიანეს 6 თვისა მისი ჩადენის დღიდან.

მუხლი 8. დისციპლინურ საქმეთა კოლეგიაში დისციპლინური საქმის განხილვისას ზავნამდგე საქმის აღმძვრელი პირი ამოწმებს მოსამართლის პასუხისგებაში მიცემის საფუძვლებს, მოითხოვს მისგან წერილობით ახსნა-განმარტებას და აგროვებს აუცილებელ მასალებს.

მუხლი 9. დისციპლინურ საქმეთა კოლეგიაში დისციპლინური საქმის მიღებისთანავე კოლეგიის თავმჯდომარე ეცნობა მასალებს ან ავალებს მის გაცნობას კოლეგიის ერთ-ერთ წევრს.

მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საფუძვლის დამატებითი შემოწმების აუცილებლობის შემთხვევაში დისციპლინური საქმეების კოლეგიის თავმჯდომარე თვითონ აწარმოებს ასეთ დამატებით შემოწმებას ან ავალებს მას კოლეგიის ერთ-ერთ წევრს.

მუხლი 10. დისციპლინურ საქმეთა კოლეგია საქმეს განიხილავს თავმჯდომარისა და კოლეგიის ორი წევრის მონაწილეობით, რომელთაც ნიშნავს დისციპლინურ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მას ცვლის კოლეგიის ერთ-ერთი წევრი.

დისციპლინურ საქმეთა კოლეგიის სხდომაში შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პირმა, რომელმაც აღძრა დისციპლინური საქმე ან მისმა წარმომადგენელმა.

მუხლი 11. დისციპლინური საქმე, როგორც წესი, განიხილება ღია სხდომაზე დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის მონაწილეობით და მთავრდება გადაწყვეტილების გამოტანით.

მუხლი 12. დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს შეუძლია განაცხადოს აცილება დისციპლინურ საქმეთა კოლეგიის წევრთა მიმართ. აცილების საკითხი განიხილება კოლეგიის დანარჩენი წევრების მიერ. ხმების გაყოფის შემთხვევაში კოლეგიის წევრი ითვლება აცილებულად. თუ აცილება განცხადებული აქვს კოლეგიის ორ ან ყველა წევრს, მაშინ აცილების საკითხს განიხილავს მთელი შემადგენლობა.

აცილებული კოლეგიის წევრის ნაცვლად მოიწვევენ დისციპლინურ საქმეთა კოლეგიის სხვა წევრს.

მუხლი 13. საქმის განხილვა დისციპლინურ საქმეთა კოლეგიაში იწყება კოლეგიის ერთ-ერთი წევრის მოხსენებით. თუ კოლეგიის სხდომაში მონაწილეობას ითბს დისციპლინური საქმის აღმძვრელი პირი ან მისი წარმომადგენელი, მაშინ ისმინენ მათ განმარტებას მოსამართლის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცრომის შესახებ; შემდეგ ისმინენ დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის ახსნა-განმარტებას.

კოლეგიის შეხედულებით შეიძლება მოსმენილ იქნეს სხვა პირთა განმარტებანი და გამოქვეყნდეს საბუთების და სხვა წარდგენილი მასალების შინაარსი. ამის შემდეგ კოლეგია გადის სათათბიროდ გადაწყვეტილების გამოსატანად.

დისციპლინურ საქმეთა კოლეგიის სხდომაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე.

მუხლი 14. დისციპლინურ საქმეთა კოლეგიას შეუძლია დაადოს დისციპლინური სასჯელი:

- ა) შენიშვნა;
- ბ) საყვედური;
- გ) სასტიკი საყვედური.

დისციპლინურ საქმეთა კოლეგიას შეუძლია შეწყვიტოს დისციპლინური საქმე თუ საქმის განხილვის შედეგად დარწმუნდება, რომ მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემა საფუძველს მოკლებულია ან მის მიერ ჩადენილი გადაცდომისათვის დისციპლინური სასჯელის დადება მიზანშეუწონელია, ან მიიჩნევს, რომ მოსამართლის ქმედობა სცილდება დისციპლინური პასუხისმგებლობის ფარგლებს.

მუხლი 15. თუ დისციპლინურ საქმეთა კოლეგია ცნობს, რომ მოსამართლე არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას, ამის შესახებ აცნობებს დისციპლინური საქმის აღმძვრელ პირს დაკავებული თანამდებობიდან მოსამართლის ვადამდე გაწვევის საკითხის დაყენებისათვის კანონით დადგენილი წესით.

მოსამართლის მოქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობისას დისციპლინურ საქმეთა კოლეგია აყენებს საკითხს მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ კანონით დადგენილი წესით, ერთდროულად ამის შესახებ აცნობებს პირს, რომელმაც აღძრა დისციპლინური საქმე.

მუხლი 16. დისციპლინურ საქმეთა კოლეგია საქმის განმხილველი კოლეგიის წევრების ხმების უმრავლესობით ღებულობს გადაწყვეტილებას, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და წევრები.

კოლეგიის წევრს, თუ ის არ ეთანხმება საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას, უფლება აქვს საქმეს დაურთოს თავისი განსაკუთრებული აზრი.

მუხლი 17. დისციპლინურ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება ჩამოყალიბდება წერილობით და ქვეყნდება კოლეგიაზე სხდომის თავმჯდომარის მიერ.

მუხლი 18. დისციპლინურ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს: კოლეგიის დასახელება, მისი შემადგენლობა, საქმის განხილვის ადგილი და დრო, დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულის გვარი, სახელი, მამის სახელი და თანამდებობა, ვინ აღძრა საქმე, საქმის გარემოება, პასუხისგებაში მიცემულის ახსნა-განმარტება, დისციპლინური სასჯელის ზომა ან საქმის შეწყვეტის მოტივები.

მუხლი 19. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოსთან, თბილისის საქალაქო სასამართლოსთან, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლეს სასამართლოებთან არსებული დისციპლინურ საქმეთა კოლეგიების გადაწყვეტილებები შეიძლება ვასაჩივრებულ იქნეს დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის მიერ საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან არსებულ დისციპლინურ საქმეთა კოლეგიაში ორი კვირის ვადაში გადაწყვეტილების ვამოტანის დღიდან.

დისციპლინური საქმის აღმძვრელი პირის, ასევე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ან საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის წარდგინებით დისციპლინური საქმე შეიძლება განხილულ იქნეს საქარ-

თველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან არსებული დისციპლინური საკმეთავო კოლეგიაში.

მუხლი 20. საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან არსებულ დისციპლინურ საქმეთა კოლეგიის სხდომაზე, რომელიც საჩივრის ან წარდგინების საფუძველზე იხილავს დისციპლინურ საქმეს, შეიძლება გამოძახებულ იქნეს დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლე.

მუხლი 21. საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან არსებულმა დისციპლინურ საქმეთა კოლეგიამ საჩივრით ან წარდგინებით საქმის განხილვისას შეიძლება მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება;

ა) ქვემდგომი დისციპლინურ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება დატოვოს უცვლელად, ხოლო საჩივარი ან წარდგინება დაუკმაყოფილებლად;

ბ) შეცვალოს გადაწყვეტილება;

გ) გააუქმოს გადაწყვეტილება და შეწყვიტოს დისციპლინური საქმე ან ეგზავნოს დისციპლინური საქმე ხელახლა განსახილველად იმავე დისციპლინურ საქმეთა კოლეგიაში ან წარმოებაში მიიღოს დისციპლინური საქმე.

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან არსებული დისციპლინური საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება საბოლოოა.

მუხლი 22. დისციპლინურ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების ასლი დღის ვადაში ეგზავნება დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს, საქმის აღმძვრელ პირს და აგრეთვე საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს.

ავტონომიური ოლქის სასამართლოსთან და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებთან არსებულ დისციპლინურ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების ასლი რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეებისა და სახალხო მოსამართლეების მიმართ ეგზავნება აგრეთვე შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის მინისტრებს და მშრომელთა დებუტატების საბჭოს საოლქო აღმასკომის იუსტიციის განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან არსებული დისციპლინური საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების ასლი ავტონომიური ოლქის სასამართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეების მოადგილეების მიმართ ეგზავნება შესაბამისად ავტონომიური ოლქის სასამართლოს, საქალაქო სასამართლოსა და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეებს.

გადაწყვეტილება დისციპლინური სასჯელის დადების შესახებ ერთვას მოსამართლის პირად საქმეს.

მუხლი 23. თუ დისციპლინური სასჯელის დადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში მოსამართლეს არ დაედება ახალი დისციპლინური სასჯელი, იგი ჩაითვლება ისეთ პირად, რომელსაც დისციპლინური სასჯელი არ ჰქონია დადებული.

თუ მოსამართლე უმწიკვლო ყოფაქცევით და დაკისრებული მოვალეობის შესრულებისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით დაამტკიცებს თავის



გამოსწორებას, სასჯელის დამდებმა დისციპლინურ საქმეთა კოლეჯის შემადგენელი პირების, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ან საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის წარდგინებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

218 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და ამისთან, ამ კომისიის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან გათავისუფლდეს თამარ ვასილის ასული ლაშქარაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

დამტკიცდეს ოთარ დანიელის ძე ქინქლაძე — საქართველოს სსრ განათლების მინისტრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; ამასთან, ამ კომისიის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან გათავისუფლდეს თამარ ვასილის ასული ლაშქარაშვილი.

დამტკიცდენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის წევრებად ზინაიდა არსენის ასული კვაჭაძე — საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი და დავით ალექსანდრეს ძე პერტენავა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე; ამასთან, ამ კომისიის წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლდენ ფილიპე მელიქსედეკის ძე მახარაძე და მიხეილ თეოფილეს ძე ჩიხლაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 15 დეკემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

219 საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის დადგენილების შესრულებასთან დაკავშირებით შემოვიდა უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ინფორმაციის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის დადგენილების შესრულებასთან დაკავშირებით შემოვიდა უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ინფორმაცია



ციები. უნდა აღინიშნოს, რომ დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის მიზანშეწონიანობის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი აქტიურობა, განმტკიცდა მათი უფლებები ამომრჩევლებთან. დეპუტატთა უმრავლესობამ მონაწილეობა მიიღო სესიის დადგენილების განხილვაში თავიანთი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა კრებებზე და სოფლის ყრილობებზე. ამასთან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წარმოუდგინეს ინფორმაციები ამომრჩეველთა მიერ დაყენებული წინადადებებისა და შენიშვნების შესახებ. მათში ასახულია მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში მათი როლის ამაღლების ღონისძიებანი, აღძრულია მშრომელთა საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ამომრჩეველთა მიერ დაყენებული წინადადებები და შენიშვნები სათანადო რეაგირებისათვის გადაეგზავნოს საქართველოს სსრ სამინისტროებს, უწყებებს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

დაევალოს საქართველოს სსრ სამინისტროებს, უწყებებს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს მეტი ყურადღება დაუთმონ დეპუტატთა წინადადებებისა და შენიშვნების განხილვას, კონტროლი გაუწიონ მათდამი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა წინადადებების შესრულებისათვის და მიღებულ ღონისძიებათა შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებულ წესის შესაბამისად, 15 დღის ვადაში აცნობონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 15 დეკემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

220 **წალენჯიხისა და დმანისის რაიონების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების კანდიდატებისათვის წინასაარჩევნო კრებაზე დაყენებული განაწესების შესრულების მდგომარეობის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა წალენჯიხისა და დმანისის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების ამხ. ამხ. ვ. ჭანტურიას და მ. გულიევის მო-

სენებები, აღნიშნავს, რომ წალენჯიხისა და დმანისის რაიონების ადგილობრივი საბჭოები, მათი აღმასრულებელი კომიტეტები და დეპუტატები, ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, მეტ ყურადღებას უთმობენ ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას.

მეთხუთმეტე მოწვევის ადგილობრივმა საბჭოებმა შესასრულებლად მიიღეს წალენჯიხის რაიონში 414 განაწესი, ხოლო დმანისის რაიონში — 312. აქედან, 1976 წლის 1 ნოემბრისათვის წალენჯიხის რაიონში შესრულდა 344, ხოლო დმანისის რაიონში — 249 განაწესი.

ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმების შესაბამისად 1975-1976 წლებში წალენჯიხისა და დმანისის რაიონებში აშენდა საშუალო და რვაწლიანი სკოლების შენობები, ცენტრალური საავადმყოფოს ინფექციური კორპუსი, სასოფლო კლუბები, ფოსტა-ტელეგრაფის შენობები, სასურსათო და სამრეწველო საქონლის მაღაზიები. გაიხსნა ამბულატორია, საფერშლო-საბებიო პუნქტები, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, სოფლებში გაყვანილია წყალსადენი, შეკეთდა და მოიხრეშა გზები.

როგორც წალენჯიხის, ასევე დმანისის რაიონებში ამომრჩეველთა განაწესების აბსოლუტური უმრავლესობა მიზნად ისახავს მშრომელი მასების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობას, განათლებისა და კულტურის დაწესებულებების, ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მატერიალური ბაზის განმტკიცებას. ამომრჩეველთა განაწესების ნაწილი შეეხება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ღონისძიებებს, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობის დარგში აღებულ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას, შრომის ორგანიზაციას, დისციპლინის განმტკიცებასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

წალენჯიხისა და დმანისის რაიონების ადგილობრივი საბჭოების უმრავლესობა სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე პერიოდულად იხილავს ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მიმდინარეობის საკითხებს და სახავს პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებაში დეპუტატებთან ერთად ფართოდ მონაწილეობს მოსახლეობა.

ამასთან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიაჩნია, რომ წალენჯიხისა და დმანისის მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, მათი განყოფილებები და სამმართველოები, საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას ვერ აქცევენ განაწესებს, როგორც საბჭოთა დემოკრატიის, რაიონის ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების მართვაში მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სესიებზე ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმებს ამტკიცებენ შესაბამისი მუდმივი კომისიების მიერ წინასწარი განხილვისა და რაიადმასკომების განყოფილებებისა და სამმართველოების, აგრეთვე წარმოება-დაწესებულებების

ბებისა და ორგანიზაციების დასკვნების გარეშე. ამის გამო გეგმავდა განაწესები, რომელთა შესრულება უზრუნველყოფილი არ არის დაფინანსებით და მატერიალური რესურსებით. მაგალითად, წალენჯიხის რაიონის კულტურის სახლის და ავტოსადგურის მშენებლობის საკითხი აღძრული იყო როგორც მე-14 ისე მე-15 მოწვევის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებისათვის მიცემულ განაწესებში, მაგრამ მათი მშენებლობა არ არის დაწყებული. ამავე მიზეზით ვერ გადაწყდა დმანისის რაიონის დიდი დმანისის სასოფლო კლუბის და გორას, ქვემო ყარაბუღასის რეაქციონი სკოლების მშენებლობის, სოფლებში საკირეს, კირიჯისა და ვაკეში წყალსადენების გაყვანის საკითხი.

განაწესების აღრიცხვისა და მათი შესრულებლებისათვის გაგზავნის საქმეში შეინიშნება მთელი რიგი ნაკლოვანებები. მაგალითად, წალენჯიხის რაიონის ჯვარის სადაბო, მუჟავის და ორჯონიკიძის სასოფლო საბჭოებში შესრულებლებისათვის არ გაუგზავნიათ განაწესების ნაწილი. წალენჯიხის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ხელახლა აღრიცხა წინა მოწვევის დროს შესრულებული ზოგიერთი განაწესი. ანალოგიური მდგომარეობაა დმანისის რაიონის ქვემო ოროზმანის, დიდი დმანისის, გომარეთის სასოფლო საბჭოებშიც. უფრო მეტიც, საკირეს სასოფლო საბჭოს აღმასკომმა ზერელედ აღრიცხა წინასაარჩევნო კრებებზე დეპუტატობის კანდიდატებისათვის მიცემული განაწესები, არ შეისწავლა ისინი სათანადოდ და პირველ სესიაზე საკითხი მოუშაადებლად გაიტანა. ამის შედეგად შესასრულებლად მიღებული 5 განაწესიდან რეალიზებულია მხოლოდ 2 (აქედან, ერთი ნაწილობრივ). წალენჯიხის რაიონის ჯვარის სადაბო და დმანისის რაიონის გომარეთის სასოფლო საბჭოებს არ დაუმტკიცებიათ ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა გეგმა.

დმანისის რაიონის ყიზილქილისას, მულანლოს, ქვემო ოროზმანის სასოფლო საბჭოების აღმასკომები სისიებსა და აღმასკომების სხდომებზე იშვიათად ან სრულებით არ იხილავენ ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მიმდინარეობის საკითხებს. ამის შედეგად, არცთუ იშვიათად შეუსრულებელია განაწესები, რომლებიც დაკავშირებული არ არის დიდ მატერიალურ ხარჯებთან სოფლების შიდაგზების შეკეთება და მოხრეშვა, წყალსადენებისა და ხიდ-ბოგირების მიმდინარე შეკეთება, სანიტარიული წესრიგის დაცვა და ა. შ.).

წალენჯიხისა და დმანისის რაიონების ყველა ადგილობრივი საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი ხარვეზია ისიც, რომ მათი მულმივი კომისიების უმრავლესობა არ მონაწილეობს ამომრჩეველთა განაწესების განხორციელებაში, არ იხილავს სხდომებზე განაწესების შესრულების მიმდინარეობის საკითხს.

საბჭოების სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე არ იხმენენ განაწესების უშუალო შესრულებლების ინფორმაციებს, არ იყენებენ კონტროლის ისეთ მნიშვნელოვან და ეფექტიან ფორმას, როგორცაა დეპუტატის შეკითხვა.

წალენჯიხის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებისათვის მიცემული 55 განაწესის შესახებ 19 ორგანიზაციას დღემდე პასუხი არ უცნობებია დეპუტატებისა და აღმასკომისათვის.



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიაჩნია, რომ წინააღმდეგობის და დმანისის რაიონული საბჭოების აღმასკომები, მათი განყოფილებები და სამმართველოები, საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ამომრჩეველთა განაწესების შესრულების საქმეს.

წალენჯიხის და დმანისის რაიონების ადგილობრივი პრესა და რადიო სუსტად აშუქებს ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მიმდინარეობის საკითხებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს წალენჯიხისა და დმანისის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს (ამხ. ამხ. ვ. ჭანტურია, მ. გულოივი):

ა) აღმოფხვრან ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი და ქმედითი ზომები განახორციელონ ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად. მკვეთრად გააუმჯობესონ განაწესების აღრიცხვიანობის საქმე, უზრუნველყონ, რომ დეპუტატებმა, აღმასკომებმა, განყოფილებებმა და სამმართველოებმა ამომრჩეველებს სისტემატურად მიაწოდონ ინფორმაცია განაწესების შესრულების შესახებ;

ბ) აამაღლონ მომთხოვნელობა თავიანთი განყოფილებებისა და სამმართველოების ხელმძღვანელების, წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისადმი, რათა დროულად განახორციელონ ამომრჩეველთა განაწესების შესრულებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა გეგმები, პერიოდულად მოისმინონ მათი ანგარიშები სესიებსა და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე;

გ) საბჭოების სესიებზე დამტკიცებული ამომრჩეველთა განაწესები გაითვალისწინონ სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმებისა და ბიუჯეტის შედგენის დროს. განაწესების წარმატებით განხორციელების მიზნით პრაქტიკაში დანერგონ იმ თანხების გამოყენება, რომლებიც დამატებით მიიღება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გადაჭარბებით შესრულების დროს, აგრეთვე გამოიყენონ საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების სახსრები;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ მუდმივი კომისიები და დეპუტატები უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ ამომრჩეველთა განაწესების შესრულების საქმეში;

ე) სისტემატური ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების) სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს ამომრჩეველთა განაწესების შესრულების საქმეში, განაზოგადონ და განავრცონ მუშაობის მოწინავე ფორმები და მეთოდები;

ვ) ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობის დროს განუხრელად იხელმძღვანელონ კანონის მოთხოვნებით სსრ კავშირის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს ამხ. ვ. ჯავახიშვილს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და რესპუბლიკის სხვა შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად შეის-

წავლოს სასოფლო და სადაბო საბჭოებისათვის სამშენებლო-სამონტაჟო-სამშენებლო შაობების ლიმიტისა და სამშენებლო მასალების გამოყოფის საკითხი ამომრჩეველთა განაწესებით გათვალისწინებულ გადაუდებელ სამუშაოთა შესასრულებლად.

ამასთან ერთად მომზადდეს სათანადო წინადადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეისწავლონ ამომრჩეველთა განაწესების შესრულების ღონისძიებათა მდგომარეობა და დასახონ საჭირო ზომები ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1976 წლის 15 დეკემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

221 გარდახნის, ჩოხატაურისა და წულუკიძის რაიონებში დიდი სამამულო ომის ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა მემორიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის შესახებ კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების გარდახნის, ჩოხატაურისა და წულუკიძის რაიონული საბჭოების აღმასკომებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს დიდი სამამულო ომის ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის გაუმჯობესების შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა რაიონული საბჭოების სესიები, დაისახა და გატარდა მრავალი ღონისძიება ომის ინვალიდებისა და დაღუპულ მეომართა ოჯახების წევრებისათვის დაწესებული შეღავათების განსახორციელებლად. ამასთან, აღსანიშნავია, რომ შემდგომ პერიოდში დასახელებულ რაიონებში საგრძნობლად შესუსტდა ყურადღება ომის ინვალიდებისა და დაღუპულ მეომართა ოჯახების წევრების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის შესახებ კანონმდებლობის შესრულებისადმი. 1975 წლის მისიდან დღემდე მშრომელთა დეპუტატების გარდახნის რაიონული საბჭოს აღმასკომს და საბჭოს შესაბამის მუდმივ კომისიას საერთოდ არ უმსჯელია ამ საკითხზე. წულუკიძისა და ჩოხატაურის რაისაბჭოების აღმასკომებმა მიმდინარე წელს განიხილეს ორ-ორი საკითხი.

აღნიშნული რაიონების არც ერთ საწარმოში არ არის მოწყობილი სპეციალური განყოფილებები და საამქროები სამამულო ომის ინვალიდთა შრო-



მის გამოსაყენებლად. ხაკლებად იყენებენ ინვალიდთა შრომას გარდამავალი ონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო კოოპერატივის ქსელში, წულუკიძის ძაფსაღებ-საგარეხ ფაბრიკაში, ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანებაში და სხვაგან.

წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შეფობა ომის ინვალიდებსა და დაღუპულ მეომართა ოჯახებზე დაწესებულია მხოლოდ წულუკიძის რაიონში. აქ მიმდინარე წლის იანვარში შეფები დაუმტკიცეს 10 ოჯახს, მაგრამ არ შეუმოწმებიათ, თუ როგორ ასრულებენ ისინი თავიანთ მოვალეობას.

რაიონული საბჭოების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებთან არსებული საზოგადოებრივი საბჭოების საქმიანობა ფორმალურ ხასიათს ატარებს; ისინი არ სწავლობენ სისტემატურად ომის ინვალიდებისა და დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობებს, მათთვის დაწესებული შეღავათების განხორციელების მდგომარეობას და შესაბამისი საკითხები არ შეაქვთ აღმასკომის განსახილველად. სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებმა ჯერ კიდევ ვერ დაამთავრეს სამამულო ომის ინვალიდებისათვის შეღავათების თაობაზე ერთიანი ფორმის ახალი ნიმუშის მოწოდების გაცემა.

გარდაბნის რაიონში არსებითი ნაკლოვანებებია ომის ინვალიდებისა და დაღუპულ მეომართა ოჯახების წევრთა სამშენებლო მასალებით მომარაგების საქმეში. კონტროლის შესუსტების შედეგად მიმდინარე წელს 43 განცხადებიდან დაუკმაყოფილებელი დარჩა 6. ხოლო ომის ინვალიდმა — სართიჭალელმა ს. ბარბაქაძემ დღემდე ვერ მიიღო გასული წლის ივნისში გამოყოფილი სამშენებლო მასალა. აღსანიშნავია, რომ სართიჭალის სასოფლო საბჭოში არ აწარმოებენ სამამულო ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების აღრიცხვას; 1975-1976 წლებში არ განუხილავთ არც ერთი საკითხი ასეთი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების შესახებ.

წულუკიძისა და გარდაბნის რაიონების სასოფლო საბჭოებში, წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სათანადო ყურადღება არ ეთმობა სამამულო ომის ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების წევრებისათვის დაწესებული შეღავათების თაობაზე ახსნა-განმარტებით მუშაობას. სატრანსპორტო ორგანიზაციებში, სავაჭრო დაწესებულებებსა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში ყველგან არ არის გამოკრული სათანადო განცხადებები ასეთ პირთათვის დაწესებული შეღავათების შესახებ.

ჯერ კიდევ შეინიშნება ნაკლოვანებები სამამულო ომის ინვალიდების სამედიცინო მომსახურებაში. წულუკიძის რაიონის კინჩხის, დედალაურისა და ძეძილეთის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში იყო შემთხვევები, როდესაც მათ არარეგულარულად უფორმებდნენ რეცეპტებს მედიკამენტების მისაღებად, რაიონი სათანადოდ არ მარაგდებოდა დიაბეტისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების საწინააღმდეგო მედიკამენტებით.

კვლავ ჯეროვნად არ არის გადაწყვეტილი საკითხი ომის ინვალიდების ხელით სამართავი ავტომაქანებისა და მოტოეტლების სათადარიგო ნაწილებით

მომარაგებისა და მათი შეკეთების შესახებ, ფერხდება სათადარიგო მომარაგება, არ მოქმედებენ ავტომომსახურების სპეციალური მოძრავი სახლოსნობები, ხოლო ავტომომსახურების სადგურებში ყოველთვის არ იცავენ ომის ინვალიდების რიგგარეშე მომსახურების წესს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ მშრომელთა დეპუტატების წულუკიძის, ჩოხატაური-სა და განსაკუთრებით, გარდაბნის რაისაბჭოს აღმასკომებმა, მიმდინარე წელს საგრძნობლად შეასუსტეს მუშაობა სამამულო ომის ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების წევრების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის შესახებ კანონმდებლობის შესასრულებლად.

დაევალოს აღნიშნულ აღმასკომებს დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რისთვისაც:

ა) საბჭოების სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე პერიოდულად განიხილონ სამამულო ომის ინვალიდებისა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების წევრების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის შესახებ კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობა, ამ საქმეში ფართოდ ჩააბან საბჭოს შესაბამისი მუდმივი კომისიები, დეპუტატები და აქტივი;

ბ) უზრუნველყონ სამამულო ომის ინვალიდების სამუშაოზე მოწყობის გეგმების აუცილებელი შესრულება; შრომითი რეკომენდაციების შესაბამისად ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებში ომის ინვალიდების დასაქმებისათვის გახსნან სპეციალური განყოფილებები და საამქროები, საჭირო შემთხვევაში კი სათანადო უწყებების წინაშე დასვან საკითხი ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოებში ასეთი განყოფილებებისა და საამქროების გახსნას შესახებ;

გ) მუდმივი კონტროლი დააწესონ ომის ინვალიდებისა და დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის დაწესებული შეღავათების განხორციელებაზე, არ დაუშვან ამ საქმისადმი კამბანიური მიდგომა, მკაცრად მოსთხოვონ პასუხი იმ მუშაკებს, რომლებიც აჭიანურებენ ომის ინვალიდებისა და დაღუპულ მეომართა ოჯახის წევრების კანონიერ მოთხოვნათა შესრულებას;

დ) ფართოდ დანერგონ წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შეფობა ომის ინვალიდებსა და დაღუპულ მეომართა ოჯახებზე; უფრო ქმედითი გახადონ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებთან არსებული საზოგადოებრივი საბჭოების საქმიანობა, გაუწიონ მათ სათანადო კონტროლი და დახმარება;

ე) ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოების საშუალებით ჩაატარონ სამამულო ომის ინვალიდების კომპლექსური სამედიცინო შემოწმება, დადგენილი წესით უზრუნველყონ ისინი სამკურნალო-საშუალებებითა და საპროტეზო-ორთოპედიული ნაკეთობებით;

3. ინფორმაცია ამ დადგენილების შესრულების შესახებ წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1977 წლის 15 ივლისისათვის.



ქართული
წიგნების
კავშირი № 12

2. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის, ვაჭრობის, სასაწყობო-საფარველი და სასაფარველო-საფარველი საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებმა და ცეკავშირის გამგეობამ გადამჭრელი ზომები მიიღონ ზემდგომი ორგანოების მიერ დასახულ ღონისძიებათა შესასრულებლად.

3. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ მეტი კონტროლი და დახმარება გაუწიოს თავის ადგილობრივ ორგანოებს სამამულო ომის ინვალიდებისა და დაღუპულ მეომართა ოჯახებისათვის დაწესებული შეღავათების განხორციელებაში, პერიოდულად განიხილოს ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის შედეგები და ქმედითი ზომები მიიღოს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

4. მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა განიხილონ ეს დადგენილება და შეიმუშაონ და განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამამულო ომის ინვალიდებისა და დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრეკლ შესრულებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

